საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990139248501419

№10/4346 **16 / ოქტომბერი / 2019 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილით (N9652/01 02.10.2019) წარმოდგენილი კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტარტეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშში (პ. 5.) აღნიშნულია მხოლოდ, რომ გეგმარებით ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტები არ მდებარეობს და საერთოდ არ არის შეფასებული უცნობი არქეოლოგიური ობიექტების შესაძლო გამოვლენისა და დაზიანების რისკები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტარტეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ ჯგუფში (პ. 7.) ჩართული იყოს ასევე შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი (ისტორიკოსი/არქეოლოგი), რათა სათანადოდ შეფასდეს კურორტ ლებარდეს განაშენიანების გეგმარებითი ტერიტორია არქეოლოგიის კუთხით, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე